ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7236753

ნომერი: AR11055548

თარიღი : 30.08.2024

გაცემის თარიღი : 02.10.2024

გაცნობის თარიღი : 02.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 30 აგვისტოს №AR11055548 განცხადებით მომართა ირაკლი აბაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის

№4070166 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებით, №01.18.03.038.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4076371 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 19 ივლისიდან 2020 წლის 19 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 26 მარტის №5337366 ბრძანებით, მშენებლობის ვადის გასვლიდან გამომდინარე, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 26 მარტიდან 2021 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5697555 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 26 მარტის №5337366 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 26 ნოემბრიდან 2022 წლის 26 ივლისის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 53.4 კვ.მ-ის ნაცვლად 53.3 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 197.9 კვ.მ-ის ნაცვლად 197.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 92.8 კვ.მ-ის ნაცვლად 81.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 520.5 კვ.მ-ის ნაცვლად 989.9 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 677.9 კვ.მ-ის ნაცვლად 641.1 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 1750.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1780.4 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 3292.5 კვ.მ-ის ნაცვლად 3744.1 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 53.3 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 197.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 81.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 989.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 641.1 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 1780.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 3744.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ივლისის №4070166 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.